# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№252 2018 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

05 02 18
6/2129

**საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე**

საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენლობის განხორციელების მიზნით, იურიდიული კომპანიებისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, შესაბამისი საარბიტრაჟო და სასამართლო ხარჯების, მოწმეებისა და უცხოელი ექსპერტების საარბიტრაჟო და სასამართლო პროცესში მონაწილეობის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე საქმის – „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) ფარგლებში" – იურიდიული მომსახურების შესყიდვისა და აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებული სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით მასთან დაკავშირებული გადასახადების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 3 292 200 (სამი მილიონ ორას ოთხმოცდათორმეტი ათას ორასი) აშშ

დოლარისა და 554 600 (ხუთას ორმოცდათოთხმეტი ათას ექვსასი) ფუნტ სტერლინგის ეკვივალენტი ლარი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი